ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6348411

ნომერი: AR1948313

თარიღი : 07.02.2023

გაცემის თარიღი : 01.03.2023

გაცნობის თარიღი : 01.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იოსებ ალავერდელის ქუჩა, N 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მონიავა პ/ნ 29001007571
- თბილისი 9 ძმის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №5443488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 7 თებერვალს №AR1948313 განცხადებით მომართა გიორგი მონიავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 10

ივნისის №5443488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №5443488 ბრძანებით შეთანხმდა, №01.19.15.005.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, საამქრო/სტამბის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 7 ოქტომბრის №5628596 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 7 ოქტომბრიდან 2023 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №5443488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო 358.293 კვ.მ. ფართობის დამატება და „სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკურ“ მაჩვენებლებში საერთო ფართობად 2015.18 კვ.მ-ის ნაცვლად 2373.473 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და საზაფხულო ფართობის მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში, კერძოდ „პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში“ არ იქნა წარმოდგენილი საზაფხულო ფართობის მაჩვენებელი, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. აქედან გამომდინარე, ტექნიკური შეცდომა უნდა გასწორდეს „პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში“ და არა „სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში“ და საერთო ფართობად 1945.26 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 2303.553 კვ.მ. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ №01/1 შენობის 0.00 ნიშნულისა და №02/1 შენობის +0.398 ნიშნულის გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №5443488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №5443488 ბრძანებაში და „პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში“ დაემატოს საზაფხულო 358.293 კვ.მ. ფართობი. ამასთან, „პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში“ საერთო ფართობად დაფიქსირდეს 2303.553 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №5443488 ბრძანებით შეთანხმებული №01/1 შენობის 0.00 ნიშნულისა და №02/1 შენობის +0.398 ნიშნულის გეგმები (მე-10 და მე-12 გვერდები) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე შენობების ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №5443488 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №5443488 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.